ოლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 15 მარტი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კაპ.

# წითელი არმიელი

№ 57 (745) 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელ. 2—24

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც' ნომპარელის სტრიქონ სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

დანიშნული, კვირას, 15 მარტს, დილის სრულ 10 საათ. ტფილისის სამაზრო საქალაქო საბჭოთა ყრილობის კომ-ფრაქციის სხდომა ამხ. ვლ. ი. ლენინის სახელობის საოპერო თეატრში გადატანილია რუსთაველის სახელობის თეატრში ამავე რიცხვს ამავე დროს.

ტფილისის მე-5-თე მოწვევის საბჭოს პარტიის წევრ დეპუტატების და მაზრის დელეგატების დასწრ. სავალდებულოა. შესვლა დროებითი მანდატებით და პარტ-ბილეთებით.

ფრაქციის ბიურო.

დანიშნული, კვირას, 15 მარტს, რუსთაველის სახელობის თეატრში წარმოდგენა „მათრახის პანაშვიდი“ გადადებულია.

## ...ერკორების ქსელთა დაარსების შესახებ.

...ჩვენი გაზეთი ორთავე ქარ-...ულ დივიზიათა ორგანოა. აქე-...ნ ცხადია მის დანიშნულებას ...ადგენს რაც შეიძლება ფარ-...ედ და ვრცლად გააშუქოს, ...ოგორც საკადრო ისე ტერ-...ვიზიის მიმდინარე მუშაობა, ...ღწევები და ყოფა ცხოვრე-...

...ამ ამოცანას ჩვენი გაზეთი ...რულებს სამხკორთა ქსელის ...შვალებით. საკადრო ნაწილე-...ში სამხკორთა წრეები თით-...ის ყველგან არსებობენ და ამ ...წილთა ცხოვრება ასე თუ ისე ...ულობს გაშუქებას „წითელ ...მიელის“ ფურცლებზე. მაგ-...მ სულ სხვა მდგომარეობა-...ა ტერკორთა—ანუ ტერნა-...ლების სამხედრო კორესპონ-...ენტთა ქსელის ორგანიზაცია, ...მელიც ჯერ ჯერობით სრ-...ლიად არ არის ჩამოყალიბე-...ული. უფრო სწორად რომ ...თქვათ დღემდი ჩვენ გაზეთს ...რ ყავს არც ერთი ტერკორი ...ვალებად შემადგენლობის წრი-...დან.

...თავის მიზანს ჩვენი გაზეთი ...წორედ მაშინ მიაღწევს—გააშუქოს ტერნაწილების ცხოვ...ება,—თუ მას ეყოლება ტერ...ორები ტერარმიელებიდან ანუ ...ვალებად შემადგენლობიდან.

ტერკორთა ქსელის ორგანიზაციას აქვს აგრეთვე მეორე დიდი მნიშვნელობა. მათი საშვალებით წითელი არმიელები ფართედ გაეცნობიან ქალაქის თუ სოფლის ცხოვრებას, რაც უნდა ჩაითვალოს ერთ ერთ საუკეთესო მიღწევად წითელ არმიის მუშებთან და გლეხებთან დაახლოების საქმეში.

ამ რიგად ტერკორთა წრეების ორგანიზაცია და მათი დაახლოება ჩვენს გაზეთთან შეადგენს ერთ ერთ ჩვენ მორიგ ამოცანას.

ამ საქმის შესრულება სავსებით დამოკიდებულია ტერნაწილების მუდმივ საკომანდო და პოლიტიკურ შემადგენლობისაგან. ჩვენი ტერნაწილები მოვალე არიან ეხლავე შეუდგენ ტერკორების წრეთა დაარსებას, სადაც უპირველეს ყოვლისა მიზიდულ უნდა იქმნან ტერარმიელები. ამ ჟამად ამ საქმის სისრულეში მოყვანა სავსებით შესაძლებელია, ვინაიდან ტერნაწილებზე მიწერა კარგი ხანია. რაც დასრულდა. საჭიროა მხოლოდ მუდმივ აპარატის ენერგიული მუშაობა ამ მხრივ და ჩვენ გაზეთს მოევლინება ახალი ძალები ტერკორების სახით.

# ახალი რადიო-ამბები
# სუნ-იატ-სენის გარდაცვალების გარშემო.

## გომინდანის აღმასკომის დეპეშა.

რკპ-ს ცეკას მდივანის, ამხ. სტალინისა და კომინტერნის აღმასკომის მდივანის, ამხ. ზინოვიევის სახელზე მიღებულია ქ. პეკინიდან გომინდანის პარტიის აღმასკომის დეპეშა.



სუნ-იატ-სენი.

„სუნ იატ-სენის გარდაცვალებით ჩინეთის ეროვნულ-რევოლიუციონურმა მოძრაობამ დაჰკარგა ბელადი, რომელიც მთელ თავის სიცოცხლეში მუშაობდა პარტიის შექმნის საქმეში ჩინეთის მასების განთავისუფლების მიზნით კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის ყვლეფისაგან.

ამ ბრძოლაში მან ჰპოვა აქტიური მეგობარი—მთელი ქვეყნების ჩაგრული მუშები. სუნ-იატ-სენის გარდაცვალებით დაუსრულებელი რჩება მისი დიადი საქმე, რომელიც მთლიანად ეკისრება პარტიას. დაბრკოლებანი მეტად დიდი მოსჩანს, ვინაიდან ჩვენ გარშემორტყმულნი ვართ კონტრ-რევოლიუციონური ძალებით.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ საქმეში, როგორც ლენინის ერთგული მოწაფეები, თქვენ იქნებით ჩვენთან ერთად, სუნ-იატ სენის მემკვიდრეებთან“.

## კომინტერნის პასუხი.

კომინტერნის აღმასკომმა, ამხ. ზინოვიევის ხელმოწერით გაუგზავნა გომინდანის აღმასკომს შემდეგი შინაარსის საპასუხო დეპეშა.

„სუნ-იატ-სენის გარდაცვალება მწუხარე გამოძახილს ჰპოვებს მთელი ქვეყნის მოაზროვნე მუშათა გულში, სუნ-იატ-სენი გარდაიცვალა იმ დროს, როცა მისმა საქმემ დაიწყო სასურველი ნაყოფის მოტანა. ჩინეთის ეროვნულ რევოლიუციონურ მოძრაობას დიდი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს. კომინტერნი დიდის ყურადღებით ადევნებს თვალს ჩინეთის ხალხის ბრძოლას. მან იცის, რომ ჩინეთის ხალხს, რომელიც ეს-ეს არის გამოდის ისტორიულ გზაზე დიადი მომავალი აქვს. ლენინის ანდერძების ერთგული კომინტერნი ასწავლის ყველა ქვეყნის მუშებს მთელი ძალღონით დაეხმარონ აღმოსავლეთის და განსაკუთრებით ჩინეთის ხალხის ეროვნულ-რევოლიუციონურ მოძრაობას.

კომინტერნის აღმასკომი იხმარს მასზე დამოკიდებულ ყოველგვარ ზომას, რათა აუხსნას ყველა ქვეყნების ფართე მასებს სუნ-იატ-სენის მუშაობის დიდი მნიშვნელობა. ჩინეთის ხალხის დამოუკიდებლობა და თავისუფლება უზრუნველყოფილი იქნება წინააღმდეგ იმპერიალისტების ყოველგვარ ზრახვებისა“.

## რკპ-ს ცეკას დეპეშა.

რკპ-ს ცეკამ გაუგზავნა გომინდანის ცენტრალურ კომიტეტს შემდეგი დეპეშა: „რკპ-ს ცეკა თქვენთან ერთად ჰგლოვობს გომინდანის ბელადის, ჩინეთის მუშებისა და გლეხების ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლის ორგანიზატორის დაკარგვას.

რკპ-ს ცეკას ეჭვი არ შეაქვს იმაში, რომ სუნ-იატ-სენის დიადი საქმე არ მოკვდება სუნ-იატსენთან ერთად; რომ მისი საქმე იცოცხლებს ჩინეთის მუშებისა და გლეხების გულში ჩინეთის ხალხის მტერთა დასათრგუნავად.

რკპ-ს ცეკას სწამს, რომ გომინდანი მაღლა დაიჭერს სუნ იატ-სენის დროშას იმპერიალიზმისაგან განმანთავისუფლებელ ბრძოლაში და რომ გომინდანი შესძლებს სახელოვნად ატაროს ეს დროშა იმპერიალიზმისა და მისი აგენტების სრულ დამარცხებამდი ჩინეთში.

სუნ იატ სენი მოკვდა-გაუმარჯოს სუნ-იატ-სენის საქმეს! დეე, სცოცხლობდეს და ძლიერდებოდეს სუნ იატ-სენის ანდერძები.“

რკპ-ს ცეკას მდივანი სტალინი.

## ამხ. ლიტვინოვის დეპეშა ჩინეთის საგარეო მინისტრს.

საგარეო საქმეთა კომისრის მოადგილემ. ამხ. ლიტვინოვმა გაუგზავნა ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრს თანაგრძნობის დეპეშა სუნ—იატ—სენის გარდაცვალების გამო.

## მღელვარება გომინდანის პარტიაში.

გომინდანის პარტიის მემარჯვენე ფრთამ სუნ—იატ—სენის გარდაცვალებისთანავე დაარსა ახალი ორგანიზაცია გომინდანის—კლუბ—ის სახელწოდებით.

ორგანიზაციაში შედიან გომინდანის უპარტიო მომხრეები და პარტიიდან გამორიცხულები. ახალი ორგანიზაციის ბევრი წევრი რჩება გომინდანის პარტიის რიგებში.

წინააღმდეგ პარტიის ბოიკოტისა, კონფერენციაზე ჩინეთის რეორგანიზაციის (გადახალისების) შესახებ მონაწილეობენ მემარჯვენე ფრთის წარმომადგენლები.

## სუნ-იატ-სენის გარდაცვალების შემდეგ ჩინეთში.

მთელმა კაბინეტმა ინახულა სუნ—იატ—სენის ოჯახი.

მთავრობამ გამოსცა დეკრეტი სუნ—იატ—სენის სახსოვრად, რომელმაც ბევრი იშრომა ხალხის ფართე მასების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

დეკრეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სუნ—იატ—სენის მოღვაწეობა საყოველთაო პატივის ცემას იწვევს განსვენებულისადმი.

სუნ—იატ—სენის გარდაცვალების გამო გადადებულ იქნა კაბინეტის სხდომა.

პრესა განსაკუთრებული კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ უცხოეთის წარმომადგენლებში ყველაზე უწინ სუნ—იატ—სენის გარდაცვალების შემდეგ საავადმყოფოში მივიდა კარახანი.

## ვერ თანხმდებიან.

ჩვენ ყოველთვის და მუდამ ...ლაპარაკობდით, რომ იმპერი-...ლისტების ინტერესები შეუ-...რიგებელი არიან.

ეს დებულება კიდევ ერთ-...ელ საუცხოვოდ მტკიცდება ...ინგლისსა და საფრანგეთს შო-...რის გამართული კამათით „საგარანტიო ხელშეკრულების“ გარშემო. ამ „საგარანტიო ხელშეკრულების“ შესახებ უკვე გვქონდა ლაპარაკი ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. მაშინ ჩვენ გამოვსთქვით ის აზრი, რომ ჩემბერლენის ცდები შესცვალოს ჟენევის ოქმი „საგარანტიო ხელშეკრულებით“ სავსებით მიმართულია საფრანგეთის იმპერიალიზმის ჰეგემონიის წინააღმდეგ ევროპაში. დღევანდელი დეპეშები კი სავსებით ამტკიცებენ ამ დებულებას.

საფრანგეთის მთავრობის დეკლარაცია ჟენევის ოქმის შესახებ, გამოქვეყნებული ერთა ლიგის სესიაზე, გამოხატავს საფრანგეთის იმპერიალიზმის მისწრაფებას ძალაში დასტოვოს ჟენევის ოქმი. მაგრამ პიუხედავათ მისი ცდებისა რადიო გადმოგვცემს, რომ ერთა ლიგის სესიაზე ჟენევის ოქმი მაინც დამარცხდა და გამარჯვების სასწორი ჩემბერლენისაკენ იხრება.

ჩვენ კიდევ არ ვიცით თუ როგორ გადაწყდება საბოლოოდ ეს საკითხი, მაგრამ ერთი კი ცხადი და ნათელია: საფრანგეთი სასტიკი წინააღმდეგია ინგლისის მიერ წარმოდგენილ შეთანხმებისა, რაც მტკიცდება იმ გარემოებით, რომ მთელი საფრანგეთის პრესა ერთსულოვნად ილაშქრებს „საგარანტიო ხელშეკრულების“ წინააღმდეგ.

ისიც შესაძლებელია, რომ საფრანგეთის მთავრობა თავისი კრიტიკული ფინანსიური მდგომარეობის გამო იძულებული გახდეს თანხმობა განაცხადოს ინგლისელების წინადადებაზე, მაგრამ საქმით კი ის მაინც თავისას არ მოიშლის და ყოველთვის შეეცდება საშაგიერო გადაუხადოს ინგლისს.

ყოველივე ეს უკვე აშკარა და უდავო ხდება. ჩვენ კიდევ ვიმეორებთ, რომ შექმნილი მდგომარეობა ასუსტებს მთლიან იმპერიალისტურ ფრონტს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და აიძულებს საფრანგეთს და პოლონეთს საბჭოთა ხელისუფლებასთან დაახლოებისაკენ.

დანიშნული, კვირას, 15 მარტს, დილის 12 საათზე ტფილისის სამაზრო საქალაქო საბჭოთა ყრილობა ამხ. ვლ. ი. ლენინის სახელობის სათავადო თეატრში გადატანილია რუსთაველის თეატრში ამავე დროს და ამავე რიგით.
შესვლა მანდატით შესაძლებელი სასტუმრო ბარათებით და ტფილისის მე-5-ე საბჭოს წევრების და მაზრის დელეგატების დროებითი მანდატებით.
სალამის სტუმრებისათვის და დელეგატებისათვის იქნება გამართული უფასო წარმოდგენა.

ყველა წევრთა დასწრება აუცილებელია.

ტფილისის სამაზრო საქალაქო საარჩევნო კომისია.

დროებით სუნ—ია—სენის გვამს მოათავსებენ პეკინში დროებითი აკლდამაში, ხოლო შემდეგ გადაასვენებენ ნანკინში.

გომინდანის აღმასკომმა დაადგინა შეუდგეს სუნ—იატ—სენის ნაწერების გამოცემას და გამოუშვან ბროშურები და ფურცლები მისი ბიოგრაფიით.

## ჟენევის ოქმის გარშემო.. საფრანგეთის მთავრობის დეკლარაცია.

ერთა ლიგის საბჭოში ბრიანმა წაიკითხა საფრანგეთის მთავრობის დეკლარაცია, რომელშიაც მთავრობა იცავს ჟენევის ოქმს. დეკლარაციაში ნათქვამია, რომ ეს ოქმი პირველად აყენებს საერთაშორისო პრაქტიკაში საარბიტრაჟო (სამედიატორო) პრინციპს ერთა შორის მშვიდობიანობის დამყარების იზნით. საფრანგეთი დარწმუნებულია, რომ თუ უარყოფილი იქნება ჟენევის ოქმი, იმ შემთხვევაში ხალხი დაუბრუნდება სადაო საკითხების გადაჭრას ძალადობის გზითო.

## პრესა ჟენევის ოქმის დამარცხების შესახებ.

ბურჟუაზიული პრესა, უკიდურეს მემარჯვენე გაზეთ „ეკლერის“ გამოკლებით ერთხმად დასტირის ჟენევის ოქმის დამარცხებას. ზომიერი პოლიტიკური წრეები ინუგეშებენ თავს იმით, რომ საფრანგეთმა ოქმის საკითხში დაამტკიცა თავისი მშვიდობიანობის მოყვარულობა ყოველგვარ იმპერიალისტურ ზრახვების გარეშე.

## ერთა ლიგა და კანტროლი გერმანიაზე.

ერთა ლიგის საბჭომ განიხილა დახურულ სხდომაზე საკითხი გერმანიაზე კონტროლის შესახებ.

საბჭომ მიიღო ბრიანის წინადადება გადადებულიყო შემდეგ სესიამდე რეინის ზონის კანტროლის საკითხი, ვინაიდან ლიგას ამ ჟამად არ აქვს ხელთ საჭირო მასალები.

ნამდვილად კი ამ საკითხის გადადების მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ საფრანგეთი და სხვა სახელმწიფოები ვერ შეთანხმდენ მასში.



ამხ. ტელმანი.

მუშა ამხ. ტელმანის კანდიდატურა გერმანიის კომპარტიის მიერ წამოყენებულია პრეზიდენტის თანამდებობაზე.

მაგრამ, რადიკალები ჰგმობენ ჩემბერლენის ხაზს, რომელსაც უსაყვედურებენ ულოიალობას და პოლიტიკურ სიბეცეს.

სოციალისტები მეტად შეფიქრებული არიან ლიგის გაკოტრებით, მაგრამ თავს იკავებენ გაზეთებში განმარტებისაგან.

## საბჭოთა ჯარების გამოყვანის შესახებ მონღოლეთიდან. ჩინეთის ჭეშმარიტი მეგობარი მხოლოდ საბჭოთა კავშირია.

ჩინეთის პრესა (გაზეთები) ესალმება კარახანის ნოტას საბჭოთა ჯარების გაყვანის გამო მონღოლეთიდან. გაზეთები აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირი ჩინეთის ერთად—ერთი წრფელი მეგობარია, იმ დროს, როცა ყველა დანარჩენი სახელმწიფოები მტრულ პოლიტიკას აწარმოებენ ჩინეთის მიმართ.

## საკავშირო მთავრობა დაღესტანში.

13 მარტს ამხ. ამხ. რიკოვი და ჩიჩერინი საბჭოთა კავშირის ცაკის წევრების თანხლებით ესტუმრენ ქარხანა „დაღესტანსკიე ოგნი“ („დაღესტანის ცეცხლი“) შესდგა დიდი მიტინგი, რომელსაც დაესწრო მრავალი გლეხობა დაღესტანის მთიან რაიონებიდან. ილაპარაკა ამხ. რიკოვმა, რომლის სიტყვას აღფრთოვანებულ „ურას“ ძახილით შეხვდენ.

## გროზნოში.

13 მარტს გროზნოში მოვიდენ ტფილისიდან დაბრუნებული საბჭოთა კავშირის მთავრობისა და ცაკის წევრები. შესდგა გროზნოს მუშათა ფართე მიტინგი, რომელზედაც ილაპარაკეს, რიკოვმა და ჩიჩერინმა. პიონერებმა უძღვნეს რიკოვს წითელი ყელსახვევი. მიტინგის შემდეგ ცაკის წევრებმა დაათვალიერეს გროზნოს სარეწავოები.

## სესიის დელეგატები დაბრუნდენ მოსკოვში.

საბჭოთა კავშირის მთავრობის და ცაკის წევრები დაბრუნდენ ტფილისიდან მოსკოვში. გზადაგზა სესიის დელეგატებს ხვდებოდა მუშათა და გლეხთა მრავალ რიცხოვანი მანიფესტაციები და მხურვალე სალამს უძღვნიდენ საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლებს.

## სამხედრო საქმე
### თარეშების სამსახური.

ძველ არმიაში ყველა ესკადრონში იყო ეგრეთ წოდებული მზვერავთა გუნდი, რომელიც შესდგებოდა 16—17 კაცისაგან. ისინი გადიოდენ ცალკე პროგრამას ძიებისას' მათი დანიშნულება იყო ომის დროს თარშებში სიარული და ძიების წარმოება.

ასე რომ ყველა მხედარი არ მზადდებოდა ძიების საწარმოებლად. ირჩეოდენ მხოლოდ წერა-კითხვის მცოდნე, საუკეთესო მხედრები. საერთაშორისო და სამოქალაქო ომებმა დაგვანახა ასეთი ორგანიზაციების გამოუსადეგრობა.

ეს თექვსმეტი კაცი რომ გავიდა წყობილებიდან, დაჭრილნი, დახოცილნი თუ ავათ გამხდარნი, მათ მაგიერ აღარ დარჩა მომზადებული მაძიებლები.

ამისათვის ძალა უნებურად ინიშნებოდენ ყველანი, ვინც მოხვდებოდა ხელში.

თანამედროვე პირობებში, უმეტესათ წითელ არმიაში საცა წერა-კითხვის უცოდინარეობის ლიკვიდაცია თითქმის გატარებულია, ყველა მხედარს უნდა შეეძლოს არა მარტო მზვერავობა, არამედ თარშის უფროსობაც.

ამიტომ ძიების სამსახურს გადის ესკადრონის მთელი შემადგენლობა და არა ნაწილი. ყოველი მხედარი—მზვერავია.

ძიება ძნელი მოქმედებაა და საპასუხისმგებლოც. მაძიებელზედ ხშირათ დამოკიდებულია თავისი ჯარების ბედ-იღბალი.

ამიტომ ყოველი მხედარი დიდის სიფრთხილით უნდა ეკიდებოდეს თავის მოვალეობის შესრულებას ძიების დროს. მას უნდა ახსოვდეს, რომ უბრალო დაუდევრობას მისი მხრით შეუძლია დაღუპოს მრავალი მისი ამხანაგები.

რომ თარშის სამსახური იყოს წარმატებიანი და ადვილათ შესასრულებელი, საჭიროა შემდეგი პირობების შესრულება თავდაპირველათ.

1. ზედა უფროსი, რომელიც აგზავნის თარშს, აძლევს მას შემდეგ ცნობებს:

ა) ამოცანას გარკვევით.

ბ) მიმართულებას და გამსაზღვრელ ხაზებს, ე. ი. მარჯვნით და მარცხნით სადამდის უნდა აწარმოოს ძიება.

ვ) ცნობებს მტერზედ.

გ) ცნობებს თავის ჯარებზედ, სად არიან ან სად იქნებიან შემდეგში.

დ) სად იქნება თვითონ და სად უნდა გამოგზავნონ დასმენები.

ე) ვინ იქნება მისი მოადგილე, რომ თუ დასმენის მომტანმა ვერ იპოვა თვით ზედა უფროსი, იცოდეს ვის გადასცეს დასმენა.

ი) როდის დაბრუნდეს.

ამოცანა ზედა უფროსმა კარგად უნდა დაამუშაოს შემსრულებელთან ერთად რუკაზედ, ისე რომ დარწმუნებული იყოს, რომ მან ყოველივე კარგად გაიგო და გაუგებრობას ადგილი არ ექნება.

აგრეთვე თუ საჭიროა უნდა უთხრას, თუ როდის გამოგზავნოს ვადითი დასმენები. ყოველივე ეს სჯობია, რომ ზედა უფროსმა გადასცეს სიტყვიერათ და არა წერილობით, რადგან საშიშია, რომ უბედურ შემთხვევაში, თუ მოკლეს თარშის უფროსი, მტერს არ ჩაუარდეს ხელში ცნობები.

მიიღებს რა ასეთ ბრძანებას, თარშის უფროსი პირველად ყოვლისა ნიშნავს მხედრებს და ცხენებს. შემდეგ ათვალიერებს ხალხის შეიარაღებას და მოკაზმულობას მათ სასროლ, სურსათის და საკვების ხარჯს. შემდეგ ათვალიერებს ცხენებს, მათ საჭურველს, ჭედვას.

ამის შემდეგ დაწვრილებით აცნობს, თარშის ამოცანას და ყოველივე იმას, რაც მიიღო ზედა უფროსისაგან, თუ ეს არ შეადგენს საიდუმლოებას. ის ანაწილებს მხედრებში, ვინ რა უნდა გააკეთოს, უხსნის მათ, როგორ უნდა შეასრულონ თავისი მოვალეობანი და რა ზომები უნდა მიიღონ სხვა და სხვა შემთხვევებში; მაგ. თვითმფრინავების გამოჩენისას, მტერთან ანდა ადგილობრივ მცხოვრებლებთან შეხვედრისას. აძლევს მათ ბრძანების ნიშნებს და უდგება წინ გზას.

ი. დოლიძე.

## კომკავშირისა და პარტიის ამოცანები მწვევამდელთა შორის მუშაობაში.

ძირითადი და უდიდესი მუშაობა, რომელიც დაიწყო წითელმა ჯარმა, არის ჯარის ტერიტორიალური (მილიციონური) სისტემაზე გადასვლა. კერძოთ, საბჭოთა საქართველოში ეს სისტემა სრულებით ახალია და მის დანიშნულებას და ამოცანებს ფართე მუშურ-გლეხური მასა ვერ იცნობს შესაფერისად. ერთ-ერთი წინასწარ სამზადისთაგანი, რომელიც ხელს შეუწყობს ჯარის ტერიტორიალურ სისტემაზე გადასვლას, ეს მწვევამდელთა შორის მუშაობაა, რაიც სამწუხაროთ ვერ არის ჯეროვნებით თავის დონეზე დაყენებული. მწვევანდელთა გ. წ. გამოწვევამ დაგვიმტკიცა, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებით კი კომკავშირთა ორგანიზაციამ, ვერ მიაქცია ჯეროვანი ყურადღება, რითაც მწვევამდელთა შორის მუშაობა ჩატარდა არა დამაკმაყოფილებლად. პოლიტ საგანმანათლებლო მუშაობა ძალზე მოისუსტებდა. მწვევამდელთა მუშაობის თავის დონეზე დასაყენებლად, საჭიროა პარტიისა და კომკავშირთა ორგანიზაციის ინიციატივით წარმოებულ იქნას ფართე პროპაგანდა მუშურ-გლეხურ მასაში, რათა მორიგ გამოწვევებს ჩვენი მუშები და გლეხები შეხვდნენ შეგნებულად, ამიტომ საჭიროა იმ იდეების წინასწარ გაცნობა ფართე მასებისათვის განსაკუთრებული ყურადღება პარტიამ და კომკავშირმა უნდა მიაქციონ-მწვევამდელთა შორის მუშაობას, როგორც წინასწარ სამზადისს ჯარის ტერიტორიალურ სისტემაზე გადასვლისა. პასუხისმგებლობა ნაწილობრივ ამ მუშაობის გასატარებლად უნდა აიღოს, როგორც პარტიამ, აგრეთვე კომკავშირმა, რომ წარსული შეცდომები, რომელიც დაშვებული იქნა წინა გამოწვევებში, გასწორებულ იქმნას. საჭიროა სანამ გვიან არ არის, პარტიულმა ორგანიზაციებმა მიაქციონ ეხლანდელ გამოწვევას განსაკუთრებული ყურადღება. ნაწილობრივ მწვევამდელთა შორის მთელი მუშაობის წარმატებითი სვლა დამოკიდებულია იმაზედ, თუ რამდენათ კომკავშირი შესძლებს უხელმძღვანელოს მწვევამდელთა მუშაობას.

კომკავშირის მუშაობა მწვევამდელებს შორის უნდა ტარდებოდეს წერტებში არსებულ კოლექტივების საშუალებით; საჭიროა კომკავშირის კოლექტივები წერტებში ჩათრეულ იქმნას წერტის აღმშენებლობითი მუშაობაში; დაძლეულ უნდა იქმნას, რითაც არ უნდა დაჯდეს კომკავშირლებს შორის დეზერტირობა, რომელსაც სამწუხაროთ ადგილი ქონდა წინა გამოწვევებში კომკავშირი უნდა იყოს მაგალითის მაჩვენებელი მთელი უპარტიო ახალგაზრდობისათვის, რომელსაც ეხება მწვევამდელთა გაწვევა; კოლექტივი კომკავშირისა უნდა იყოს დამხმარე ორგანიზაცია ყოველგვარ პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის წარმოებაში; კომკავშირის თაოსნობით უნდა ეწყობოდეს წერტებში ლენინის კუთხეები, სამკითხველოები, იწერებოდეს სხვა და სხვა კომკავშირის გამომცემლობანი, როგორიც არის „სპარტაკი“ „იუნოშესკაია პრავდა“, „აქტივისტი“ და სხვა ცენტრალური გაზეთები.

კომკავშირი უნდა ებრძოდეს წერტში დეზერტირობას, უნდა ებრძოდეს ცრუ ავადმყოფობებს, უნდა ზრუნავდეს წერტის ტეხნიკურად მოწყობაში, დრო გამოშვებით უნდა ისმენდეს ანგარიშებს ჯგუფების ხელმძღვანელებისა, უნდა ისმენდეს ანგარიშები კოლექტივის მდივნისა, ერთი სიტყვით კომკავშირი მთელი თავისი ენერგიით უნდა ჩაებას ნაწილის აღმშენებლობითი მუშაობაში. ადგილობრივმა კომიტეტებმა, უნდა მიაწოდონ წერტებს სათანადოთ მომზადებული ამხანაგები, რომელიც გამოადგებათ პოლიტ-ხელებათ, ჯგუფების ხელმძღვანელებად და აწარმოებს პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობას. კომკავშირის ადგილობრივი კომიტეტი არსებულ თავის ტერიტორიაზე წერტის წარმატებით მუშაობაზე. ადგილობრივი კომიტეტის მიერ პოლიტ-განყოფილებასთან შეთანხმებით უნდა ეწყობოდეს წვრტების და ალიერება, მხოლოდ ამ დონის ძიებათა მიღების შემდეგ ჩვენ შეგვიძლია მწვევამდელთა შორის მუშაობა დავაყენოთ სათანადო დონეზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მწვევამდელთა მუშაობა ვერ მოგვცემს დადებით შედეგებს, რაიც უეჭველად შეაფერხებს ჯარის ტერიტორიალურ სისტემაზე გადასვლას. ამიტომაც საჭიროა ეხლავე ენერგიულად შეუდგეთ საქმეს.

ნ. პატარაია.




## თორმეტი მარტის აღსანიშნავი კრება პირველ მესანგრეთა ასეულში.

პირველ ცალკე მესანგრეთა ასეულში თებერვლის რევოლუციის წლის თავის აღსანიშნავი კრება შესდგა 13 მარტს. ...ესწრო მთელი ასეულის შემადგენლობა, როგორც პარტიული, ისე უპარტიონიც.

ცარიზმის დამხობის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკე...თა ასეულის სამხკომმა ამხ. ჯავახოვმა.

ის ვრცლად შეეხო მონარქიული წესწყობილების საში...ელებას, მეფის მთავრობის პოლიტიკას მშრომელი ხალხის ...ლატაკების და დამონავების საქმეში და მრავალი სხვა.

საერთოდ მოხსენება მეტად შინაარსიანი იყო და მრავა...ლი შეკითხვები გამოიწვია, რომლებსაც სათანადო პასუხი გა...ცა ამხანაგმა.

კრებამ მადლობა გადაუხადა სამხკომს ასეთი ვრცელი ...ოხსენებისათვის.

სამხკორი ლ. გიორგაძე.

## კულტურულ ფრონტზე. ორი საღამო.

მეთაურთა სკოლის კლუბში საღამო წარმოდგენები ძლი...რ ხშირად იმართება. კლუბთან არსებულმა დრამწრემ უკვე ...ილო მასალთა შერჩევის გამოცდილება და საღამოებიც ...ითქმის ყოველთვის დამაკმაყოფილებელი გამოდის. მხო...ლოდ აღსანიშნავია ის, რომ გასულ წელში კურსანტებს მე...ი მომზადება ეტყობოდათ და უფრო შეგნებულადაც ხვდე...ოდენ სადღესასწაულო უქმეებს, წელს კი ასე არ არის.

8 და 12 მარტს გაიმართა სადღესასწაულო საღამოები. ...ურსანტებს საკმაოდ ემჩნეოდათ როლების უცოდინარეობა. ...ცილებით უკეთესად იყვენ მომზადებული ქალთა შემადგენ...ლობა. მათ მშვენივრად შესძლეს პიესების პროლოგის და ...ოლო—სიტყვაობის შესრულება. ორივე საღამოზე პიესების ...თამაშებამდე გაკეთებული იქნა კოლექტიური მოხსენებები ...ლის მნიშვნელობის შესახებ.

12 მარტს წარმოდგენა დაიდგა სკოლის ცხენოსან გუნ...ის კურსანტების ძალებით. პიესა „სტამბაში" საკმაოდ არის ...ოცემული მუშების ყოფა ცხოვრება თებერვლის რევოლიუ...ციამდე და მის პირველ დღეებში თბილისში.

პიესის ბოლო მოხდენილად არის გადაკეთებული და ...აფიოდ შლის თებერვლის რევოლიუციის პერსპექტივებს.

საერთოდ პიესა კარგად იქნა ჩატარებული, მაგრამ მეო...ე მოქმედებაში, სადაც გატაცება და რევოლიუციონური ...ცხლი მეტი უნდა იყოს, მოთამაშეთა მოუმზადებლობის ...ამო, მუშების კოლექტიური ნების ყოფა არ სჩანდა ნათ...ლად.

იმედია ჩვენი კურსანტები უფრო შეგნებით მოეკიდებიან ...თავის საქმეს და ადრე დაიწყებენ მზადებას. ასეთი გზით დე...ფექტები ყოველთვის აცილებული იქნება თავიდან.

ხ. ხ—ლი.

## თებერვლის რევოლიუციის დღესასწაული არტ-ლეგიონში.

თებერვლის რევოლიუციის ...დღესასწაულისთვის ნაწილში ...აიწყო გაცხოველებული მუ...შაობა. გაჩაღდა საუბრები ლე...ნინის კუთხეებში, წრეებში ...მუშაობა და აგრეთვე უჯრე...ების ღია კრებებზე ბატარეი...ებში გაიმართა ამ დღის მნი...შვნელობის ირგვლივ ფართო ...მოხსენებები, გამოშვებული იქ...ნა ამ დღისათვის კედლის გა...ზეთი. მოწვეული იქნა 4-ხივე ...ბატარეიების ღია პარტიული ...კრება, სადაც დაესწრენ რო...გორც პარტიულები და კომ...კავშირის წევრები, ისე უპარ...ტიო წით. არმიელები და უფ...როსი შემადგენლობა, სადაც ...გაშუქებული იქნა დაწვრილე...ბით, თებერვლის რევოლიუ...ციის მნიშვნელობა მუშათა ...კლასისათვის.

ამავე დღეს კი მთელი ლეგი...ონის როგორც წ. არმიელები, ...ე უფროსი შემადგენლობამ ...ვი მოიყარეს კლუბში. მო...ხსენება გააკეთა ლეგიონის სა...მხედრო კომისარმა ამხ. ფოფ...აძემ.

მოხსენებამ საკმაოდ ნათელ ყო ის, თუ რატომ მუშათა და გლეხთა საბჭოები არ მოექცა სათავეში სახელმწიფოს იმ თავითვე. მოხსენების ირგვლივ გამოტანილი იქნა რეზოლიუცია, სადაც აღნიშნულია კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობა მუშათა კლასისადმი და აგრეთვე კრება იმედს გამოსთქვამს, რომ ის (კომუნისტური პარტია) შესძლებს განათავისუფლოს მსოფლიოში მუშათა კლასი ყოველგვარ ჩაგვრისაგან.

შემდეგ წავიდა წარმოდგენა (დრამა) „სიკვდილით დასჯა" პიესა ერთაწმინდელისა). განსაკუთრებითი აღსანიშნავია ამხ. ლენინის ქარხნის მუშა ქალის მ. ჯაფარიძის, პიესაში „ლენის" როლის მშვენიერი შესრულება, რამაც კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მაყურებლებზე.

პარტკორი ტ. ხვედელი.

## როდის მოგვცემთ ბინას?

(ქალაქის კომენდანტის საყურადღებოთ.)

უკვე მეშვიდე თვეა რაც პირველი ლეგიონის მეთაურები სთხოვს ოთახებით დახმარების აღმოჩენას, მაგრამ ჯერ არავითარი ყურადღება არ მოგვაქციეს. ერთი ჩვენგანი ცოლ შვილით შიგ ლეგიონში ცხოვრობს ერთ პატარა ოთახში, რომელიც ლეგიონს სჭირდება ქიმიური კაბინეტის გასახსნელად. ერთი ოთახი მაინც გვიშოვეთ სადმე, რომ ის მეთაური გადავიყვანოთ და ლეგიონის წითელ არმიელებს ქიმიური კაბინეტი გაუხსნათ.

ლეგიონერი.

## ჩვენს ნაწილებში.

### პირველი ლეგიონის მერვე ასეული.

ასეულის ძალებით 8 მარტს ლეგიონის კლუბში გაიმართა წარმოდგენა. დაიდგა ორ მოქმედებიანი პიესა „პროლეტარი ქალი".

წარმოდგენის დაწყებამდე, ქალთა საერთაშორისო დღესასწაულის მნიშვნელობაზე გაკეთებული იქნა მოხსენება. შემდეგ წავიდა პიესა, რამაც კარგი შთაბეჭდილება დასტოვა არმიელებზე. ბოლოს ნაჩვენები იქნა კინო სურათები.

წ. არმ. ზაქარიაძე.

## 6- სე ლეგ. 3-ე ათასეულის ცხოვრებიდან.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ათასეული ძლიერ დაცილებულია ცენტრიდან, მაინც ყველაფერი რიგზე გვაქვს მოწყობილი. გვაქვს მშვენიერი სამკითხველო და წიგნთსაცავი. წითელ არმიელები სისტემატიურად დაიარებიან სამკითხველოში. ჟურნალ გაზეთების კითხვა ძლიერ აინტერესებთ. ათასეულში დაარსებულია აგრეთვე ჩინებული ლენინის და სამხედრო კუთხეები. ყოველთვის, თავისუფალი საათებში, ამხანაგები მოიყრიან თავს აღნიშნულ კუთხეებში და იმართება საუბრები სხვა და სხვა საინტერესო საკითხებზე. ხშირად მოგვდის შემოწირულებანი კუთხეებისა და სამკითხველოსათვის. ამას წინად ქართულ მეთაურთა სკოლის კურსანტმა ამხ. ალ. სისაურმა ათასეულის ლენინის კუთხეებისათვის შემოგვწირა 11 პოლიტიკური შინაარსის წიგნები. ადგილობრივ ახალგაზრდათა ლენინურ კომკავშირმა კი ლენინის სურათისათვის გამოგვიგზავნა ერთი დიდი და ლამაზი ჩარჩო. ხელისუფლება დიდ დახმარებას უწევს ჩვენს ათასეულს. უკვე შეგვიკეთეს საცხოვრებელი ბინები. ამას გარდა ხშირად გვაძლევს დახმარებებს სხვა და სხვა სახით. იმედია არც შემდეგში მოგვაკლებს თავის მზრუნველობას.

წ. არმ. პ. გელზონია.

## ჩვენი ლიტერატურული წრის საქმიანობიდან.

მეოთხე ლეგიონის ლიტერატურული წრე ამ ბოლო ხანებში ძლიერ გამოცოცხლდა. წრის ახალი ხელმძღვანელი, ძველთან შედარებით კარგად გვამეცადინებს.

წრეში ამ ჟამად ირიცხება ცამეტი წითელ არმიელი.

მეცადინეობა სისტემატიურად მიმდინარეობს საუბრების სახით.

ხშირად ეწყობა აგრეთვე ლიტერატურული გასამართლებები. ერთი ასეთი გასამართლება მოეწყო თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში. გავასამართლეთ ყაზბეგის მოთხრობის გმირი „ელეონორა", რომელსაც ლეგიონის შემადგენლობას გარდა აუარება გარეშე საზოგადოებაც დაესწრო.

ოქმში აღნიშნული იყო შემდეგი საბრალმდებლო მუხლები:

1) ელეონორა დამნაშავეა თავის უფლებების ბოროტად მოხმარებაში;

2) ელეონორა დამნაშავეა იმ სისხლში, რომელიც მოყვა შედეგად მის ფუქსავატურ თავმოყვარეობას;

3) ელეონორა დამნაშავეა, როგორც შუღლის ჩამომგდები მეზობელ-ეროვნებათა შორის და

4) ელეონორა—როგორც ამაზონკა.

მხარეთა კამათმა მეტად საინტერესო სახე მიიღო. დამცველთა საფუძვლიანმა საბუთებმა სრულიად გააბათილა ბრალდების მუხლები. კამათში მაყურებელ საზოგადოებიდანაც მიიღეს მონაწილეობა. ბრალმდებლების აშკარად ემჩნეოდათ მოუმზადებლობა და ამიტომ საზოგადოების სიმპატიები დამცველებისაკენ გადაიხარა.

ბოლოს სასამართლომ გამოიტანა შემდეგი განაჩენი:

„სასამართლომ მხედველობაში მიიღო რა სოციალური პირობები და ეპოქის თავისებურებანი ელეონორა გაამართლა თავის მოქმედებაში.

მხოლოდ ამტყუნებს მას, როგორც მიზეზს თორმეტი ვაჟკაცის სიცოცხლის შეწირვაში.

განაჩენს ტაშით შეხვდა საზოგადოება.

სამხკორი ჯღანკი.

# პარტიული ცხოვრება.

## რეკომენდაციების გაცემის შესახებ.

საზოგადოთ ბევრ ამხანაგებს არა აქვთ სრული წარმოდგენა რეკომენდაციების გაცემის მნიშვნელობის შესახებ.

ეს გარემოება ყოვლად დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს. პარტიული დებულების თანახმად, ყველა პარტიის წევრს აქვს უფლება მისცეს რეკომენდაცია ამა თუ იმ პირს პარტიაში შესვლის დროს, ურომლისოდ პარტიული ორგანო არავის მიიღებდა პარტიის კანდიდატათ.

მაგრამ აქ საჭიროა-დიდი გაფრთხილებით ხმარება ამ უფლების. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო პარტიის ზოგიერთი წევრების საყურადღებოდ, თუ როგორ უნდა გასცეს და ვის უნდა მისცეს რეკომენდაციები.

ყველა პარტიის წევრებმა უდა იცოდეს, რომ ის არის კომუნისტური კოლექტივის ანუ ორგანიზაციის წევრი, რომელიც თავდადებით ყოველგან და ყოველთვის იცავს მუშების და მშრომელი გლეხკაცობის ინტერესს.

ის ვინც ვერ შეასრულებს ამ დიდ მოვალეობას ის რასაკვირველია უვარგისი წევრია როგორც პარტიისათვის, აგრეთვე მუშებისათვის და გლეხებისათვისაც გამოუსადეგარი იქნება და მას რასაკვირველია პარტია ვერ მოითმენს თავის რიგებში. ამიტომ ყოველთვის პარტიის წევრი ვალდებულია დაკვირვებულათ იმოქმედოს, კარგათ ქონდეს შეგნებული თავისი პარტიის ამოცანები და ინტერესები.

კომუნისტი ყოველთვის დაინტერესებული უნდა იყოს, რომ მისი პარტია რაც შეიძლება შემჭიდროვებული და გამტკიცებული იყოს და შიგ ყავდეს ისეთი წევრები, რომლებიც მართლაც გაამართლებენ იმ იდეიას, რომელსაც ატარებს და ანხორციელებს კომუნისტური პარტია.

ამიტომ ჩვენ, როდესაც ვთავდებობთ და ხელს უწერთ ამა თუ იმ პირს პარტიის რიგებში შესვლის დროს, მაშინ არ უნდა დაგვავიწყდეს ყველა ზემოთ მოყვანილი გარემოებანი. რეკომენდაციებისგაცემის დროს არ შეიძლება მიექცეს ყურადღება ნათესაურ ან და უბრალო მეგობრულ დამოკიდებულ განწყობილებას, რომელსაც საუბედუროთ ზოგჯერ აქვს ადგილი ჩვენს სინამდვილეში. და როდესაც ჩვენ ამ ნაკლს გამოვასწორებთ და კარგათ გავითვალისწინებთ თუ ვის ვაძლევთ რეკომენდაციას, მაშინ უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენი პარტია და მისი რიგები მართლაც შეასრულებენ მუშათა კლასის და გლეხობის დაკისრებულ მოვალეობას პირნათლათ, რაც თავდები იქნება ჩვენი სიმტკიცის და მუშების და გლეხების გამარჯვების.

ს. ლომიძე.

## პასუხად ამხ. შონიას.*)

გაზეთ „წითელ-არმიელ-ს" № 52 ში მოთავსებულია ჩემი წერილის საპასუხოდ ამხ. შონიას წერილი. ამხ. პასუხი სრულებით არ არის ჩემი წერილის დამაკმაყოფილებელი. მე ვამბობდი: თუმცა სადილი ბოლო ხანებში ვერ კეთდება კარგი, მაგრამ ადვილად შეურიგდებით მეთქი. ჩემი წერილის მთავარი ყურადღება მიქცეულია დილის ჩაის ადუღებაზედ. ამხ. შონია დილით სამსახურში მოდის არა ადრე 9 საათისა. ეს ის დრო არის, როდესაც სამწყობრო მეთაურებს დაწყებული აქვთ წითელ არმიელებთან მეცადინეობის მეორე საათი, შონიას კი საქმე არ გაუფუჭდება მაშინაც კი, რომ ის მოვიდეს 10-11 საათზედ. პირველ წერილში ვამბობ: მეცადინეობა იწყება 7 საათზედ და 30 წუთზედ. ამ დროს მეთაურს ჩაი დალეული უნდა ქონდეს, თუ არ უნდათ მათ 12 საათამდის მშიერი იყოს. და ჩვენს სასადილოს არ ახსოვს 9 საათზედ უფრო ადრე ჩაის ადუღება. ჩემი წერილის შემდეგ უფრო უნდა შერცხვენოდა სასადილოს თანამშრომლების და ცოტა ადრე უნდა ედუღებიათ ჩაი მაგრამ ვიმეორებ 9 საათზედ ადრე ჯერ ჩვენთან მზათ არ ყოფილა.

შემდეგ ამხ. შონიას ვეკითხები: გეთანხმები რომ ავეჯეულობის შეძენა მეთაურების საქმეა. მაგრამ იმის გაწმენდა რაც ჩვენ გვაქვს ვისი საქმეა? თუ კი პირველ ხანებში მაგიდებზე გაზეთები იყო გადაფარებული ეხლა რა დავაშავეთ? როგორ დავდოთ პური გასვრილ მაგიდაზედ? კიდევ ამბობთ 17 საათზედ ადრე არასოდეს არ დაკეტილაო. რა იცით თქვენ ეს როდესაც 15 საათზედ მუშაო-

*) ამხ. ბოკოს პასუხის შემდეგ, რედაქცია ამის შესახებ სხვა წერილებს აღარ დაუთმობს ადგილს.

ბა გათავებულია შტაბში და თქვენ უკვე სახლში ბრძანდებით. და ის მეთაურები კი რომლებიც გაგზავნილ იყვენ სხვა და სხვა საქმეზედ და დაბრუნდენ 17 საათზე თუნდ 20 საათზედაც სასადილოს დაკეტვის გამო მშივრები არ დარჩენ?

გაიგეთ ამხ. შონი ყველაფერი კარგათ, თუ თქვენ სასადილოს გამგეობასთან რაიმე კავშირი გაქვთ და საჩივრებს შემდეგ უპასუხეთ.

სამხკორი ბოძო.

# ამბები სოფლებიდან

**დაზღვევა სოფლათ.**

თელავის მაზრის დამზღვევ სალაროს ამ ჟამად ყავს 1.100 დაზღვეულ წევრზე მეტი.

დაზღვეულთა შორის თითქმის ყველანი გლეხები არიან.

**ნავთი არ არის.**

ახალქალაქიდან მოსული ცნობებით იქ ნავთის დიდი ჭლ ეზოზაა, რის გამოც გლეხები გაქრვებას განიცდიან.

**რამდენი ტყე გვაქვს.**

მთელ საქართველოში ტყის საერთო სივრცე უდრის მილიონ ნახევარ დესეტინას.

**სკოლების სიმცირის გამო.**

ბორჩალოს მაზრაში ამ ჟამად სკოლის გარეშე დარჩენილია 3 ათასი სწავლის მსურველი გლეხის ბავში.

# სამნეო დარგის საკითხები

**დღიური საულუფო ფულის მოთხოვნილებათა წესი.**

ცენტრიდან ძალიან განსაზღვრული კრედიტის გადმოგზავნის გამო, ჯარის ნაწილებს საულუფო ფული მიეცემათ მხოლოდ მაშინ, როდესაც ამას მართლა საჭიროება მოითხოვს და წარმოდგენილი იქნება სადაც ჯერ არს სათანადო მოთხოვნილება.

მეორე კვარტალში დღიური საულუფე ფულის რაოდენობა დაწესებულია: რკინის გზით მოგზაურთათვის—33 კაპ., შარაგზით და ზღვით—30 კაპ. გარდა ამ აღნიშნულ თანხისა დამატებით აღარაფერი არ მიეცემა. ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება—დამატებითი (25 კაპ.) დღიური ფულის მიცემაზე, დემობილიზაციით გაშვებულთათვის უკვე გაუქმებულია და წარსული წლის 11 ოქტომბრიდან იგი აღარავის არ ეძლევა.

**საბანოე და სამრეცხაო ფულის შესახებ.**

ჯარის ნაწილების მრავალრიცხოვან შეკითხვის გამო საბანოე და სამრეცხაო ფულის მომატებაზე—ცხადდება მუშათა და გლეხთა წითელი ლაშქრის სამხედრო სამნეო სამმართველოს 1924 წ. 29 დეკ. შემდეგი შინაარსის № 0859 313 მოწერილობა: „თანახმად ს.ს.ს.რ. კავშირის რევ. სამხ. საბჭოს პლენუმის დადგენილებისა. ამ ჟამად ცენტრი იხილავს საკითხს საბანოე და სამრეცხაო ფულის რაოდენობაზე, ვიდრე კი საერთოდ შეიცვლებოდეს არსებული ნორმა სამხ. სამნეო სამმართველო ვერ სცნობს შესაძლებლად, გაადიდოს, სხვა ოლქებთან შედარებით, კავკასიის წითელ დროშოვან ლაშქრისთვის გასაცემი კრედიტი".

იმავე დროს ექცევა ჯარის ნაწილების ყურადღება იმაზე, რომ საბანო—სამრეცხაო ფული ეძლევათ ერთეულებს შტატის მიხედვით, მხოლოდ თანახმად კავშირის რევ. სამხ. საბჭოს 1924 წლ. № 1123 ბრძანებისა. განსხვავება შტატით გაცემულ და ფაქტიურად კუთვნილ ფულის შორის, უნდა ვუცილებლივ ჩაირიცხოს ფულის მეორედ მოთხოვნილების დროს. ამას გარდა ჯარის ნაწილები ვალდებულნი არიან შეატყობინონ არმიის სამხედრო სამნეო განყოფილებას ამ წლის 1-ლ აპრილისთვის ყველა იმ საბანოე—სამრეცხაო ფულის ნაშთებზე, რომლებიც უნდა ჩარიცხულ ყოფილიყოს ყოველ თვიურად.

**ქვავ ნარევი ხორბლის ფქვილი (სურჟა) აღარ გაიცემა.**

ქვავ ნარევი ხორბლის ფქვილის მარაგი საოლქო სასურსათო საწყობში და არმიის მაღაზიებში გამოილია. ცენტრიდან ახლო მომავალში აღარ გამოიგზავნება ქვავ ნარევი ხორბალი, ამიტომ ამიერიდან, პურის გამოცხობის დროს, ქვავის ფქვილში გადასარევად ზემოაღნიშნული „სურჟი"-ს ფქვილი აღარავის მიეცემათ, გარდა სამხედრო სასწავლებლებისა, რომელთაც ძველებურად მიეცემად 25 პროც. უბრალო ხორბლის ფქვილისა და ამიერ-კავკასიის ძოსამზადებელი სკოლისა—50 პროც. ქვავის ფქვილში გადასარევად.

**ქვითარის წიგნაკების გაცემაზე.**

საწყობიდან სურსათ სანოვაგის და საქონლის საკვებ სარჩოს მისაღებად—უკვე გათავებულ ქვითარის წიგნაკების უბის წარმოდგენის შემდეგ, იძლევა ახალი წიგნაკი. მაშინ, როდესაც ერთეულისათვის უბის წარდგენა საძნელოა, ჯარის ნაწილებს შეუძლიანთ მოითხოვონ ახალი წიგნაკები სამიხუთი დღით ადრე, ვიდრე გაათავებენ ძველ წიგნაკს, მაგრამ იმ პირობით, რომ გათავების შემდეგ აუცილებლივ წარდგენილი იქმნას წიგნაკის უბე ან დამაკმაყოფილებელ ორგანოში, ან იმ სასურსათო საწყობში, რომელმაც გასცა წიგნაკი. აღნიშნულ შემთხვევებში წიგნაკები იძლევა ერთეულის თავის და სამხკომის პასუხისმგებლობის ქვეშ.

ს. შაკუნი.

# საბჭოთა არჩევნების მსვლელობა.

## საბჭოთა ყრილობა ახალციხეში.

ახალციხის სამაზრო საბჭოთა ყრილობა გაიხსნება დღეს ქალ. ახალციხეში.

**გურიაში.**

კოხნარის თემში არჩევნები დასრულდა.

სულ აირჩიეს 28 დეპუტატი.

მათ შორის 11 კომუნისტია და 2 ქალი.

**შორაპნის მაზრაში.**

— **რგანის თემი.** რგანის სათემო საბჭოში აირჩიეს 18 წევრი.

მათ შორის 5 კომუნისტია, 1 ქალი და 1 ახკომკავშირელი.

— **ხრეითის თემი.** სათემო საბჭოში აირჩიეს 28 დეპუტატი.

— **თავასის თემი.** სულ აირჩიეს 45 დეპუტატი.

მათ შორის 10 კომუნისტი, 3 ქალი, და 1 კომკავშირელი.

— **მუხურის თემი.** სულ აირჩიეს 30 დეპუტატი.

აქედან 3 კომუნისტია და 2 ქალი.

— **ლაშელვერკის თემი.** სათემო საბჭოში აირჩიეს 30 წევრი.

აქედან 1 კომუნისტია 7 ქალი და 4 ახკომკავშირელი.

— **ამაშუკეთში.** საბჭოების წევრებათ აირჩიეს 55 მოქალაქე.

მათ შორის 11 კომუნისტი, 7 ქალი და 6 კომკავშირელი.

**ქალ. ზესტაფონში.**

საქალაქო საბჭოში აირჩიეს 56 დეპუტატი.

მათ შორის 16 კომუნისტია და 4 ქალი.

**სამხრეთ ოსეთში.**

— **ახალგორის თემში.** სათემო საბჭოში აირჩიეს 77 დეპუტატი.

აქედან 9 კომუნისტია და 4 ქალი.

— **მონასტრის თემში.** სათემო საბჭოში აირჩიეს 61 წევრი.

მათ შორის 4 კომუნისტია და 1 ქალი.

# სამხედრო ტრიბუნალი.

11 მარტს ქართულ სამხედრო ტრიბუნალმა განიხილა 1-ლ ქართულ ლეგიონის წ. მ. არტაში გიგაურიანცის, ნიკოლოზ სისაურის და არტლეგიონის წ. მ. ვასილი უქალაშვილის საქმეები, გიგაურიანცს და უქალაშვილს ბრალდება დეზერტირობა და სისაურს დეზერტირობა და სახაზინო ნივთების გაფლანგვა სასამართლოს სხდომაზე გამოირკვა შემდეგი: ბრალდებული გიგაურიანცი გაქცეულა ნაწილიდან წ. წ. 23 ივლის და განაგრძობდა დეზერტირობას, სანამ არ იქნა შეპყრობილი და ჩაირიცხა ა. წ. 4 თებერვალს. ბრალდებული სისაური, გაქცეულა ნაწილიდან გ. წ. ოქტომბერს და განაგრძობდა დეზერტირობას ა. წ. 18 თებერვლამდე. როდესაც ის თავის ნებით გამოცხადდა კომისარიატში, სადაც იქმნა შეპყრობილი და მიცემული პასუხისგებაში. უქალაშვილი გაქცეულა ნაწილიდან წ. წ. 23 ივლის და განაგრძობდა დეზერტირობას ა. წ. 19 თებერვლამდე, სანამ არ იქნა შეპყრობილი და მიცემული პასუხის გებაში. ბრალდებულებმა იცვნეს თავი დამნაშავედ და განმარტეს, რომ დეზერტირობა ჩაიდინეს ოჯახური მდგომარეობით, რომ მათ არ ყავდათ სახლში მუშა ხელი, გიგაურიანცმა განმარტა, შესაკრებ პუნქტზე მიღების შემდეგ ის გამოცხადდა დანიშნულებისამებრ 1-ლ ქართულ ლეგიონში, მაგრამ არ მიიღეს, ვინაიდან საბუთი დაკარგოდა გზაში და ამის შემდეგ კი ის წავიდა სახლში. სასამართლომ დამტკიცებულად სცნო მასზე წაყენებული ბრალდებები და მიუსაჯა მათ, გიგაურიანცს ოთხი თვე საჯარიმო გუნდში მოთავსება და ხუთი მანეთის ქონების ნაწილის კონფისკაცია. ბრალდებულ სისაურს თავისუფლების აღკვეთა გამსახლში მოთავსებით ექვსი თვის ვადით და ათი მანეთის ქონების კონფისკაცია, ბრალდებულ უქალაშვილს თავისუფლების აღკვეთა გამსახლში მოთავსებით ექვსი თვის ვადით და ათი მანეთის ქონების ნაწილის კონფისკაცია.

გნია.

# ახალი ამბები.

— **სამხ. კუთხეების მოწყობა.** ახლო ხანისთვის განზრახულია ყველა მუშათა და ახკომკავშირელთა კლუბებთან მოეწყოს სამხედრო კუთხეები.

— **არმიის წარმომადგენელი გლეხთა სახლში.** სრ. საქ. გლეხთა ცენტრალური სახლის გამგეობამ მიმართა პოლიტგანყოფილებას გაგზავნოს თავის წარმომადგენელი გლეხთა ცენტ. სახლის გამგეობაში სამუშაოთ.

— **აბრეშუმის პარკის გასაღება.** გასულ წელს საქართველოდან გატანილ და გაყიდულ იქნა საზღვარ გარედ 26 ათასი მანეთის (ოქროთი) აბრეშუმის პარკი.

— **უმუშევარი პარიკმახერები.** უმუშევარ პარიკმახერებისათვის შრომის კოლექტივების გამგეობა ხსნის საპარიკმახეროს.

— **საფერშლო პუნქტები.** 1 მარტისათვის მთელ საქართველოში ითვლებოდა 62 საფერშლო პუნქტი.

— **ახალ დაბადებულთათვის.** თებერვლის განმავლობაში ტფ. დამზღვევმა კასამ გასცა ახალ დაბადებულთათვის დასახმარებლათ 5.553 მანეთი.

— **ავათმყოფობათა თავიდან ასაცილებელ ზომებზე** თებერვლის განმავლობაში დაიხარჯა 3.218 მანეთი.

რებუსი № 5.



## № 1-ლი შარადის ახსნა.

**ს ა მ ხ კ ო რ ი.**

ახსნეს შემდეგმა წითელ არმიელებმა:

**ახალაშვილმა, დანდუროვმა, დიასამიძემ, ცქიფურიშვილმა და კინწურაშვილმა.**

# პასუხი შეკითხვებზე.

**კით ხვა.** ვირიცხები 6 ტერ-ლეგიონის ტყვიამფრქვევ რაზმში. მინდა ვიცოდე ვსარგებლობ მე და ჩემი ოჯახი წითელ-არმიელის შეღავათებით თუ არა? (როგორც კომუნალურისე საექიმო დ ხმარებით).

**ზაქარია გვარამაძე.**

**პასუხი.** ტერნაწილებში ორი კატეგორიის წითელი-არმიელებია. ცვალებადი ნაწილი (ე. ი. 1901, 900, 1899 წელში დაბადებულნი) არავითარ შეღავათით არ სარგებლობს. 1902 წელში დაბადებულნი, რომლებიც ირიცხებიან ტერ-ნაწილების რიგებში, სარგებლობენ წითელ-არმიელის პრივილეგიებით, სათანადო დოკუმენტის წარდგენისთანავე.

# ჩვენი ფოსტა.

**ამხ. პაიჭაძეს.** თქვენი პასუხი ამხ. ტეზრელისადმი არ გავა. არ არის დასაბუთებული.

**ამხ. გ. ხუციშვილს** თქვენი ნაწყვეტი „წითელ არმიელიდო" არ დაისტამბება.

**ამხ. ცქიფურიშვილს და ჯაშს.** თქვენი წერილები „საარტილერიო ლეგიონის გაერთიანებულ კრება" და „ჩვენი რემედასის ბიუროს მუშაობა არ დაიბეჭდება. ასეთები უკვე გავიდა ჩვენს გაზეთში.

**ამხ. ა. ჭკადუას,** თქვენი წერილი წითელ-მეთაურთა ბიუროს შესახებ არ გავა.

**ამხ. ტოროლას.** თქვენი წერილზე „ასეთი პირები უნდა განიდევნონ! ჩვენი რიგებიდან" უკვე მიღებულია სათანადო ზომები.

**ამხ. წაბლნარელს.** თქვენი კორესპონდენცია „კიდევ არ გამოსწორდა" გადაეცა დივიზიის პარტკომისიას.


# განცხადება.

## 1-ლ საარტილერიო ლეგიონის მე-3 ბატარეის კომუჯრედი აცხადებს,

რომ კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები პარტიის კანდიდატად მიღებაზედ შემდეგ ამხანაგებს:

1. გოგორიშვილი ილა (ინტელიგენტი)
2. ჯავოშვილი იაკობი (მიწის მუშა)

თუ ვისმეს აქვს საწინააღმდეგო ამ ამხანაგების პარტიაში მიღების შესახებ გთხოვთ გვაცნობოთ წერილობით ან სიტყვიერად. მისამართი: საბურთალო საარტ. ლეგიონის მე-3 ბატარეიის კომუჯრედის მდივანს.

1-ლ საარტ. ლეგ. 3 ბატ. კომუჯრედი.


.ნ .დ ს. ც.

სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე